


სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ
 სოფ. აკურას (თელავის მუნიციპალიტეტი) მამა დავითის ეკლესიის რეაბილიტაციის
 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე
 2013 წლის 26 აპრილს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების #742)
 წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების
 რეგისტრაცია

#	კონკურსანტის დასახელება	დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო	ხელმოწერა
1	ქპს „ქვიშა ვაიკანი“	20.05.2013 16:53 სთ	
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			

საკონკურსო აპარატის წევრი
 გ.გოგაძე



მამა დავითის ეკლესიის რეაბილიტაციის
საპროექტო წინადადება



შ.პ.ს :ძველი გალავანი

2013 წელი



631/102-01

საბანკო გარანტია # 921606-2340247

თბილისი

2013 წლის 16 მაისი

სს "თიბისი ბანკი", მისი ს.ს. "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალის ბექ-ოფისის უფროსი მენეჯერი თინათინ ზერაგია სახით, მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით :

გარანტი: სს "თიბისი ბანკი"
პრინციპალი : შპს 'ბეელი გალავანი'
საიდენტიფიკაციო ნომერი: 231243927
რეგისტრაციის თარიღი: 12/01/2001
მისამართი: თბილისი, უშანგი ჩხეიძის ქ #33
ტელეფონის ნომერი: 599113487
ბენეფიციარი : სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
გარანტიის თანხა : 200,00 (ორასი ლარი) ლარი

გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება : "გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ამ საგარანტიო წერილის პირობების გათვალისწინებით, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე "ბენეფიციარის" პირველი წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე გადაუხადოს მას გარანტიის თანხა.

გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება: "გარანტის" მიერ საგარანტიო თანხის გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი დაირღვა "პრინციპალის" მიერ "ბენეფიციარის" წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატება შემდეგში:

"პრინციპალმა" დაარღვია აუქციონის პირობებით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვალდებულება.

ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნაში უნდა მიუთითოს იმ გარემოების შესახებ თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, ასევე მოთხოვნასთან ერთად გარანტს უნდა წარუდგინოს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება ასეთის არსებობის შემთხვევაში.

წერილობითი მოთხოვნა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენილ უნდა იქნეს სს "თიბისი ბანკის" ს.ს. "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალის კანცელარიაში

საგარანტიო თანხის შემცირება: საგარანტიო თანხა მცირდება 'პრინციპალის' ვალდებულების დოკუმენტალურად დადასტურებული შესრულების პროპორციულად.

გარანტიის მოქმედების ვადა : 16.05.2013-დან 30.07.2013-მდე მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის" მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღამდე

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა "პრინციპალის" შეუსრულებელ ვალდებულებაზე მითითებითა და წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #458).

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთსარგებლო გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალის ბექ-ოფისის უფროსი მენეჯერი თინათინ ზერაგია



ტექნიკური დოკუმენტის დანართი

1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება: შ.პ.ს. "ძველი გაღავანი"

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: მიხეილ გელაშვილი

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის 33

კონკურსანტის ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის 33

საიდენტიფიკაციო კოდი: 231243927

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: 2966458, 599113487

ელექტრონული მისამართი: mishagelashvili@yahoo.com

ბანკის კოდი: 220101830

ანგარიშსწორების ანგარიში: GE58 TB06 0000 0110 4676 73/GEL

2. საკონკურსო წინადადების ფასი: 20000 ლარი

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: 2013 წლის 30 ივლისი

4. აუქსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის რაოდენობა პროცენტულად: არ გამოიყენება

ხელმძღვანელის ხელისმოწერა:



აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* წებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს წებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯარობის მომენტამდე.

☐ გავცეანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.



შ.პ.ს. “ძველი გალავნის” მიერ 2010-2012 წლებში შესრულებული
საპროექტო სამუშაოების ჩამონათვალი

1. ნეკრესის მცირე ბაზილიკის რესტავრაციის პროექტის მომზადება - ხელმძღვანელი 2010წ.
2. გრემის კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები - პროექტის ხელმძღვანელი 2011წ.
3. დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსში საყრდენი გალავნის საპროექტო სამუშაოები - პროექტის ხელმძღვანელი 2012წ.
4. კაცხის ტაძრის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები - პროექტის ხელმძღვანელი 2012წ.
5. კაცხის სვეტის რესტავრაციის საპროექტო სამუშაოები - პროექტის ხელმძღვანელი 2012წ.
6. უბისის კომპლექსის რესტავრაციის საპროექტო სამუშაოები პროექტის ხელმძღვანელი 2007-2012წწ.
7. თბილისის ბოტანიკური ბაღის სარესტავრაციო-საპროექტო სამუშაოები პროექტის ხელმძღვანელი - 2012წ.
8. მირზაანში ფიროსმანის სახლ-მუზეუმის საპროექტო სამუშაოები - პროექტის ხელმძღვანელი - 2012წ.
9. ახმეტის მუნიციპალიტეტში კვეტერას ტაძრის საპროექტო სამუშაოები- პროექტის ხელმძღვანელი - 2012წ.



სოფ.აკურას :მამა დავითის: ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო წინადადება

წინამდებარე სადემონსტრაციო მასალაში წარმოდგენილია სოფ. აკურასთან (თელავის მუნიციპალიტეტი) მდებარე „მამა-დავითის“ ეკლესია.

მონასტრის ტერიტორიიდან პირვანდელი სახით მხოლოდ ეკლესიაა შემორჩენილი. ნაგებობა წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას რომელიც მე-IX საუკუნით თარიღდება. ტერიტორიას ზღუდავს ყორე გალავანი.

ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, ოკონსტრუქციული ნაწილები და დეკორატიული ელემენტები შირიმისა და აგურის გამოყენებით. ვიზუალური დათვალიერებისას გამოვლინდა შემდეგი დაზიანებები:

ბაზილიკის გრძივ ღერძებზე განვითარებულია ბზარები და ნაპრალები. ჩრდილოეთ კედელზე არსებული კონტრფორსები მოცილებულია საპირე წყობას. ზემოაღნიშნული დაზიანება შესაძლებელია გამოწვეული იყოს გამბრჯენი ძალების ზემოქმედების შედეგად. ასევე საყურადღებოა სარქივო მასალებში დაცული დოკუმენტი კერძოდ გეოლოგიური დასკვნა რომელიც შესრულებულია 1955 წ-ს ი. გრძელიშვილის მიერ და ბზარების გამომწვევ მიზეზად დასახელებულია ტერიტორიის მცირე დამეწყვრა. სტრუქტურულ დაზიანებას განიცდის აღმოსავლეთ კედელზე არსებული აგურის ამჟოლი ლილვები რაც გამოწვეულია ტემპერატურის ცვალებადობითა და ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების შედეგად. წინარე ჩარევებმა ეკლესიის არქიტექტურულ სახეში შეიტანა ცვლილებები, კერძოდ დროთა განმავლობაში კარამიტით ფენა-ფენად გადახურულმა სახურავის საბურველმა შემდგომში გამოიწვია ლავგარდანის ფორმის ცვლილება და მისი ამადლება. ბოლო ჩარევისას პირვანდელ ღონეს დაუბრუნდა სახურავი და ლავგარდანი. სამხრეთ ფასადზე დაზიანებულია სარკმლის წირთხლები.

ტაძარზე განიჩევა რამდენიმე სამშენებლო ფენა. ძეგლით მკვლევარების დაინტერესება 1920 წლებიდან იწყება. 1954 წ-ს სპეც. სარესტავრაციო საწარმო სახელოსნოს დავალებით მოეწყო რამოდენიმე დაზვერვითი ექსპედიცია. 1965წ-ს ძეგლზე დამთავრდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. შემოდგომი რამოდენიმეჯერ ჩატარდა მცირე სამუშაოები, რომლის შემდეგაც ეკლესიამ მიღო დღევანდელი სახე.

ძეგლის დაზიანებებისა და არსებული მდგომარეობის შეფასებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბაზილიკის სრული აღდგენა. (ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის არჩევა განპირობებულია საარქივო მასალების არსებობით.) ,ხოლო კარიბჭისა და მინაშენების კონსერვაცია.


ვიზუალური დათვალიერებისას ტაძარზე დაზიანებების აღმოსაფხვრელად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების ჩატარება: ეკლესიის სახურავზე არსებული საბურველი სააფარის მოხსნა და ადგილზე არსებული ავთენტური კრამიტის ზომებით ახლის დამზადება და მოწყობა. ლავგადანის მოწესრიგება არსებულ საარქივო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. კრამიტის საფარის ქვეშ არსებული ქვიშა-ცემენტის ხსნარის მოხსნა და ტრადიციულ კირ-ხსნარზე კრამირის საფარის მოწყობა. კირ-ხსნარის შემადგენლობა დადგინდება ავთენტური კირ-ხსნარის ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე რათა მოხდეს თავსებადობა ძველთან. ამასთან, კრამიტის საფარის ქვეშ მომზადებულ კირ-ხსნარის მიჭიმვაზე თანამედროვე ჰიდროსაიზოლაციო

უცხოური წარმოების ხსნარის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს წყლისა და ნესტის შეუღწევადობას კამარებში, მაგრამ არ შეუშლის ხელს ჰაერის მოძრაობას (გერმანული ჰიდროსაიზოლაციო პრეპარატი “ლოტოპორი” წარმატებით გამოიყენება ევროპის ბევრ ქვეყანაში). როგორც ექსტერიერში ისე ინტერიერში გამოქარული და დაზიანებული ნაღესობის კირის სპეც. ხსნარით დამუშავება. ატმოსფერული ნაღექების ასარიდებლად ეკლესიის პერიმეტრზე ქვის სარინელის მოწყობა. ძეგლის კონსტრუქციული დაზიანებების აღმოსაფხვრელად მისი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა (იხ. კონსტრუქციები)

ძეგლის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელია გატარდეს შემდეგი სამუშაოები:

- ძეგლის ფოტოფიქსაცია და ნატურაში კვლევა.
- არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომის შესრულება
- ტოპო გეოდეზიური აზომებითი სამუშაოები.
- ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა – დასაძირკვლების პირობებისა და საძირკვლების კონფიგურაციის დადგენის მიზნით შურფების გაყვანა არქეოლოგის ზედამხედველობით.
- შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება.
- სახელოვნებადმცოდნეო კვლევა.
- ინტერიერში და აღმოსავლეთ ფასადზე არსებული ფერწერის სავალალო მდგომარეობის გამო აუცილებელია ჩატარდეს დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული ანალიზი. რათა დადგინდეს ფერწერის რესტავრაცია წინ უნდა უსწრებდეს წარმოების პროცესს თუ პირიქით.





სამხრეთი ფასადი



აღმოსავლეთი ფასადი



ჩრდილოეთი ფასადი



დასავლეთი ფასადი



დასავლეთი კედელი



სამხრეთი კედელი



მონუმენტური ფერწერის ფრაგმენტი დასავლეთ კედელზე




დაზიანებული კანკელი



წარწერა დასაგლვო ფასადზე



თანადროულუ კრამიტი



სარკივო მასალა



ლაგვარდანი ძეგლზე ბოლო ჩარევის შემდეგ



ბზარი აღმოსავლეთ ფასადზე (რესტავრაციამდე)



აღმოსავლეთი ფასადი (1965 წ-ის რესტავრაციის შემდეგ)



აღმოსავლეთი ფასადი (2010 წ-ი)



აღმოსავლეთი ფასადი (2013 წ-ი)



მამა-ადავითის ეკლესია რესტავრაციამდე



ეკლესია 1965 წ-სი რესტავრაციის შემდეგ

ძველის ტექნიკური მდგომარეობის წინასწარი შეფასება

საკვლევი ძველი მდებარეობს სოფელ აკურის ჩრდილო დასავლეთით, ვანთის ხევის მარჯვენა, მაღალ ნაპირზე მდებარე მცირე ბაქანზე. ბაქნის სამხრეთით შემადლებული ფლატეა. ჩრდილოეთით, მდინარისკენ, კი მკვეთრად დაქანებული ფერდობი.

ვიზუალური ტექნიკური დათვალიერებით დადგინდა, რომ სამნავიანი ბაზილიკის შუა ნავის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე მიწის ნიშნულიდან კეხის ნიშნულამდე განვითარებულია გამჭოლი ნაპრალი. ნაპრალი გახსნილობა განსაკუთრებით თვალშისაცემია აღმოსავლეთ ფასადზე. ნაპრალი გარკვეული პერიოდის წინ, პირველ ეტაპზე განხორციელებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს შევსებული იყო დუღაბით და სხვა გამაგრებითი კონსტრუქციული ღონისძიებები კედლის გამონოლითებისთვის არ განხორციელებულა. შედარებით მცირე გახსნილობის ვერტიკალური ბზარები იკითხება ჩრდილო და სამხრეთ მკლავების დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადის კედლებზეც, რომლებიც შემოადინიშნული სამუშაოების პერიოდშივეა შევსებული დუღაბის ხსნარით. მეორე პერიოდის სარესტავრაციო სამუშაოებისას დაფიქსირდა, რომ ინექტირებულ ნაპრალებში შეინიშნებოდა გარკვეული დინამიკა და გახსნილობის მატება. რის გამოც მიიღეს გადაწყვეტილება და ეკლესიას გარე საპირე წყობის ზედადაპირზე მთლიანად შემოავლეს ლითონის საფტე.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დაფიქსირებულ დეფორმაციებს დიდი ხნის ისტორია აქვს, კერძოდ ჩრდილოეთ კედელზე მოწყობილი კონტრფორსები მეტყველებენ იმ კონსტრუქციულ ღონისძიებებზე, რომლის განხორციელების აუცილებლობაც დადგა ადრეულ პერიოდში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძველზე დაფიქსირებული დეფორმაციების მიზეზისა და სათანადო გაძლიერებითი კონსტრუქციული ღონისძიებების დასახვისათვის აუცილებელია შემდეგი საკვლევი სამუშაოების ჩატარება:

- ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა,
- დასაძირკვლების პირობებისა და საძირკვლების კონფიგურაციის დადგენის მიზნით შურფების გაყვანა,
- ძველის დეტალური ტექნიკური გამოკვლევა,
- დასკვნა რეკომენდაციების საფუძველზე ძველის კონსტრუქციული გაძლიერების პროექტის დამუშავება.

კონსტრუქტორი

დ. რამიშვილი

მხატვრობის მდგომარეობა

აკურის ტაძრის მოხატულობა, შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის უნიკალური ნიმუშს წარმოადგენს. სტილისტური ნიშნებით ფასადის მხატვრობა X სკ-ს, ხოლო ინტერიერის მე-14ს შეიძლება მივაკუთვნოთ.

ტაძარი სავარაუდოდ მთლიანად იყო მოხატული, (ნაღესობის კვალი ჩანს თითქმის მთელ სივრცეში) ამჟამად მხატვრობა ფრაგმენტების სახით, მხოლოდ ცენტრალური ნავის დასავლეთ კედელზე (გამოსახულია მაცხოვრის შობის კომპოზიცია), ჩრდილოეთი ნავში (წმინდანთა გამოსახულებები) და მთელ სივრცეში ძალიან მცირე ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი

ნაღესობა ბევრ ადგილას მოცილებულია კედელს, რესტავრაციის დროს გაკეთებული ქიმებიც მოცილებულია კედელს და ზოგ ადგილას საეროდ აღარ არის, სახეზეა რესტავრაციის შემდგომი პერიოდის დაზიანებებები

ფერწერული ფენა ძლიერ დაზიანებულია, შეიმჩნევა ფერის აქერცვლა და გაფხვიერება, ამავდროულად ფერწერის ზედაპირზე გაირჩევა ვარდისფერი ფერის ლაქა, რომელიც სავარაუდოდ მიკროორგანიზმების არსებობით უნდა იყოს გამოწვეული.

აგრეთვე ფერწერა ბევრგან დაფარულია კრისტალური მარილით.

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფარგლებში განზრახულია შემდეგი კვლევითი სამუშაოები:

- მოხატულობის ბათქაშისა და ფერწერული ფენის მდგომარეობისა და მიმდინარე დაზიანების პროცესის გაანალიზება არსებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე
 - შესწავლის და საარქივო მასალების შედარების შემდგომ, შევძლებთ ზუსტად დავადგინოთ სხვადასხვა დროს განხორციელებული საკონსერვაციო სამუშაოების შემდგომ მხატვრობის მდგომარეობის სტაბილურობისა თუ ცვლილებების ხარისხი.
- მოხატულობის დაზიანებათა ტიპებისა და მოცულობების ზუსტი განსაზღვრა (შესაბამისი დოკუმენტაციის დართვით)

როგორც ვიზუალური ასევე დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე დადგინდება დაზიანების ტიპები

შესრულდება სრული ფოტო (არეკლილი შუქი, მაკროფოტოგრაფია, მიკროფოტოგრაფია, ულტრაისფერი ლუმინესცენცია) და გრაფიკული დოკუმენტაცია დაზიანებების ტიპების მითითებით (ნიშნულები)

- მოხატულობის საფუძვლის, ბათქაშისა და ფერწერული ფენის ლაბორატორიული კვლევა

ლაბორატორიული კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, როგორც საშენი მასალის ტიპი, ასევე შელესილობისა და ფერწერული ფენის შემადგენლობა, თითოეული მასალის ქიმიურ-ფიზიკური მახასიათებლების საფუძველზე დადგინდება მხატვრობის დაზიანების მიზეზები.

აგრეთვე ლაბორატორიულ ანალიზზე დაყრდნობით შეირჩევა საკონსერვაციო მასალა

ანალიზის ჩატარების მეთოდიკა და შედეგები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი დოკუმენტაციით. (საერთაშორისო ნორმალ აქტები)

- მოხატულობის ბიოლოგიური კვლევა
- გაკეთდება მიკრობიოლოგიური ანალიზები და შემუშავდება მიკროორგანიზმებთან ბრძოლის მეთოდი
- ტენიანობა და ტემპერატურული რეჟიმი

ფარდობითი ტენიანობისა და ტემპერატურული რეჟიმის მონიტორინგი განხორციელდება 5-10 წთ შუალედით , აგრეთვე განხორციელდება სინათლის ტალღის სიმპლავრის ანალიზი (განსაკუთრებით, ფასადზე არსებულ მხატვრობაზე)

კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება სათანადო დოკუმენტაციის თანხლებით

მარილის ანალიზი

- საშენი მასალის ფიზიკო-მექანიკური თვისებების შესწავლა სათანადო ლაბორატორიული ანალიზების მეშვეობით გამოკვლეული იქნება ქვის:
 - 1) ფორიანობა
 - 2) კაპილარული შეწოვაკვლევის შემდგომ შემუშავდება რეკომენდაციები

საკონკურსო სამუშაოები მიზნად ისახავს ტაძრის მონუმენტულობის მდგომარეობის შეფასებასა და განსახორციელებელი ღონისძიებების სახეობებისა და რიგითობის განსაზღვრას. განსახორციელებელ სამუშაოთა ღირებულების დადგენას. საკონსერვაციო სამუშაოებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

ჯგუფის შემადგენლობა

ზემოთჩამოთვლილი ღონისძიებებს განახორციელებს ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტები იქნებიან:

მხატვარ-რესტავრატორი,

ხელოვნებათმცოდნე,

ფერწერის ტექნიკისა და ტექნოლოგიის მკვლევარი

გეოლოგი (მინეროლოგი)

ბიოლოგი

სოფელ აკურის „მამა ღავითის“ სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის
პროექტისათვის უბნის ვიზუალური საინჟინრო გეოლოგიური
დასკვნა

სოფელი აკურა მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტში, თელავიდან მე-13 კილომეტრზე.

სოფელი აკურა განთავსებულია ზღვის დონიდან 620 მეტრზე, მდინარე ვანთის ხევის მარჯვენა შემაღლებულ ტერასაზე.

ეკლესია მდებარეობს სოფელი აკურის ჩრდილო დასავლეთით.

გეომორფოლოგიურად უბანი წარმოადგენს გომბორის ქედის აღმოსავლეთ ფერდობის ძირს. ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს შუა ცარცული ასაკის ნაცრისფერი თიხები ქვიშაქვების შუაშრეებით, კენჭნაროვანი ქანებით.

რელიეფის დახრა ძეგლის ტერიტორიაზე სამხრეთულია.

ეკლესიის და მისი მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერებით ირკვევა შემდეგი: ნაგებობის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე დაიკვირვება გამოკვეთილი ხასიათის ჯდენის ბზარები (ნაპრალეები) და შედარებით მცირე ზომის მრავალჯერადი ბზარები. როგორც ჩანს, წინა სარესტავრაციო სამუშაოების დროს მოხდა არსებული ბზარების შევსება, ამყამად ბზარები გახსნილია რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დეფორმაციები პროგრესირებს. საყურადღებოა აგრეთვე კონტრფორსების დაშორება ტაძრის კედლიდან.

ნაგებობის დაზიანების გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს მის მიმდებარედ მცირე მეწყრული ზოლის არსებობა, ან ზედაპირული წყლების მოქმედების შედეგად ნაგებობის საძირკვლების გამორეცხვა და შესაბამისად ფუძის გრუნტის ფიზიკურ მექანიკური თვისებების შეცვლა.

ზემოთ აღნიშნულს ნათელს მოჰფენს ეკლესიის ტერიტორიაზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩატარება, რომელიც ითვალისწინებს ნაგებობის საძირკვლების ზომების, კონფიგურაციის და ფუძის გრუნტის დადგენას გეოლოგიური გამონამუშევრების (შურფების) საშუალებით, რის საფუძველზეც შედგება ზუსტი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, სათანადო გრაფიკული მასალის შედგენით.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ზემოთ თქმული ეფუძნება ვიზუალური აღწერის მონაცემებს.

ინჟინერ-გეოლოგი

დ. მღებრიშვილი

სოფ. აკურას მამა დავითის ეკლესიის რეაბილიტაციის წინადადება

ტექნოლოგიური ნაწილი

ეკლესიის მშენებლობისას გამოყენებულია რიყის ქვა და კირის ხსნარი. დეკორატიული გაფორმება შესრულებულია სხვადასხვა ფორმის აგურით და შირიმის ქვით.

შენობის როგორც ფასადებზე, ისე ინტერიერში შეინიშნება ბზარები, რომელთაგან ნაწილი, სავარაუდოდ, კონსტრუქციული მდგომარეობის დარღვევის შედეგია (მაგ. ძირითადი ნავის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებზე).

ინტერიერში ფიქსირდება გამომარილების პროცესების მკვეთრად გამოხატული ნიშნები.

შენობის ფასადზე (მინაშენი, კონტრფორსები) დასახლებულია მცენარეები (ხაყსები, ლიქენები, ბალახოვანი მცენარეები). ბალახოვანი და ბუჩქოვანი მცენარეები დასახლებულია აგრეთვე სამხრეთის ნავის გადახურვასა და ძირითადი ნავის კედლებს შორის.

აგურის დეკორატიული ელემენტები (ლილვები, კარნიზები) დაშლილი და გამოქარულია.

შენობის გადახურვა შესრულებულია ბრტყელი და ღარიანი კრამიტებით (ეწ. იმერული კრამიტით, რაც უცხოა კახეთის არქიტექტურისთვის) ცემენტის ხსნარზე. საერთოდ ცემენტის ხსნარი უხვადაა გამოყენებული რაც დაუშვებელია, ვინაიდან როგორც ძეგლის ინტერიერში, ისე მის ფასადებზე მხატვრობის ნაშთებია შემორჩენილი.

ინტერიერში კანკელის წყობა და კედლები ჭკარტლის ფენითაა დაფარული.

ძეგლის რეაბილიტაციისათვის აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. ძეგლის კონსტრუქციული გამაგრების შემდეგ უნდა მოხდეს ბზარების ინექტირება კირის ხსნარის ბაზაზე შერჩეული შემადგენლობის ხსნარით,

შემდგომში მათი ზედაპრის ასევე შერჩეული შემადგენლობის საგოზავის საშუალებით ამოგოზავით.

2. მოიხსნას წინა რესტავრაციის დროს გამოყენებული ცემენტის ხსნარის ნალესობა და შეიცვალოს კირის ხსნარით. მოიხსნას დასუსტებული დუღაბი წყობის ზედაპირზე და ნაკერები ამოიგოზავოს კირის ბაზაზე დამზადებული სპეციალური შემადგენლობის საგოზავით.
3. მოიხსნას ე.წ იმერული კრამიტის გადახურვა, მოინგრეს ცემენტის ხსნარის მოტიმვა და კირის ხსნარზე მოეწვოს ახალი გადახურვა ღარიანი კრამიტით.
4. გამოკვლეულ იქნას გამოქარული და დასუსტებული აგურის დეკორატიული ელემენტების ფიზიკო-მექანიკური თვისებები, შედგეს დაზიანებათა რუკა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიცვალოს დაზიანებული აგურის ელემენტები (ან ელემენტი მთლიანად ან მისი ფრაგმენტი).
5. ჩატარდეს ბიოტური ეროზიის გამომწვევი მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.
6. დადგინდეს აღმოსავლეთის ფასადზე წრიული დეკორატიული ნალესობის შემადგენლობა და შერჩეული ხსნარით მოხდეს მისი აღდგენა.
7. დამუშავდეს ტექნოლოგიები ინტერიერში მარილებისა და ჭვარტლის ფენების მოსაცილებლად.

ტექნოლოგი
თამაზ იაქაშვილი

აკურის მამა დავითის საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოებისას არქეოლოგის
სამოქმედო გეგმა

აკურის მამა დავითის ტაძარზე საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოებისას
არქეოლოგის ჩარევა შემდეგი სახით არის საჭირო:

1. გეოლოგიური შურფების გაჭრისას, აუცილებელია არქეოლოგის მეთვალყურეობა, რადგან ტაძრის ფასადებთან და ინტერიერში მოსალოდნელია კულტურული ფენებისა და სამარხების გამოვლენა.
2. სარინელის მოსაწყობად საჭიროა ფასადებთან მიწის ფენის აღება, სასურველია ეს სამუშაო არქეოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარდეს.
3. ტაძარს დასავლეთის მხრიდან ჰქონია მინაშენი, ამჟამად მისი კედლის ცალკეული ფრაგმენტებია მიწის ზედაპირზე შემორჩენილი. საჭიროა ამ მინაშენის არქეოლოგიური გათხრა-დოკუმენტირება, დადასტურებული კულტურული ფენის/ფენების და ნაგებობის ნაშთების ფიქსაცია. გათხრის შემდგომ აუცილებელია მისი კონსერვაცია.
4. ტაძრის დასავლეთ ფასადიდან დასავლეთით 10 მ.-ის დაშორებით მიწის ზედაპირზე შეიმჩნევა კამაროვანი აკლდამის კონფიგურაცია, რომლის გადახურვის კამარა ჩანგრეულია. ეს აკლდამა უეჭველად მონასტრის კრიპტა უნდა ყოფილიყო. აუცილებელია მისი არქეოლოგიური გათხრა-დოკუმენტირება, რადგან ა) სარესტავრაციო სამუშაოების პროცესში დიდია ალბათობა ისედაც დაზიანებული ძეგლის უფრო მეტად დაზიანებისა; ბ) აკად. გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით აკურის მამა დავითი ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწისა და წმინდანის - იალარიონ ქართველის მიერ დაარსებული დედათა მონასტერია. ამ მოსაზრების გადამოწმებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება მონასტრის კრიპტის არქეოლოგიურ შესწავლას, რადგან მასში დადასტურებული კრანიოლოგიური მასალა შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ მონასტრის კუთვნილება (დედათა მონასტერი იყო იგი თუ მამათა). კრიპტის არქეოლოგიური გათხრის შემთხვევაში, კრანიოლოგიური მასალის შესასწავლად აუცილებელია მოწვეული იქნას ანთროპოლოგი.

აღწერილი სამუშაოების ჩატარების შემდეგ მოხდება მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კამერალური დამუშავება; მომზადდება ვრცელი სამეცნიერო ანგარიში, რომელსაც დართული ექნება საილუსტრაციო (ფოტო და გრაფიკული) მასალა. ანგარიშის მომზადების შემდეგ არქეოლოგიური მასალა ჩაბარდება უახლოეს მუზეუმს (თელავის ისტორიული მუზეუმი).

გიორგი ლალიაშვილი - არქეოლოგი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კაბინეტის ხელმძღვანელი.

მიხეილ გელაშვილი

დაბადების ადგილი: ქ. თელავი, 26 აგვისტო, 1957წ.

მისამართი: ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის 33, ბინა 29, ტელ.: 2966458; მობ: 599113487;

ელ-ფოსტა: mishagelashvili@yahoo.com

განათლება: უმაღლესი

კვალიფიკაცია: არქიტექტორ-რესტავრატორი

ცნობები მუშაობის შესახებ:

2005 წლიდან დღემდე - შპს “მველი გალავანი” დირექტორი;

2004წ. - რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრი;

1990-1997 წწ. - ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი;

1989-1990 წწ. - სპეც.სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი
“საქრესტავრაცია”;

პუბლიკაციური სტაჟი:

2002 წლიდან დღემდე – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია,
არქიტექტურული გეგმარების კათედრა (რესტავრაციის
განყოფილება).

შესრულებული ობიექტები:

წმ. გიორგის ეკლესია, სოფ. წინანდალი; ონის რ-ნის სოფ. მთისკალთა,
მრავალძალის ეკლესია; ლენტეხის რ-ნი, სოფ. ლექსურა, “ლამარიას”
სახელობის ეკლესია; ახმეტის რ-ნის სოფ. საკობიანოს ღვთისმშობლის ეკლესია;
ბოდბის წმ. ნინოსა და წმ. გიორგის ეკლესია; დაბა საგურამოში ილია
ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის რესტავრაციის პროექტი, წმ. ბარბარეს ეკლესია ქ.
მცხეთაში; თბილისის მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის
რესტავრაცია; ქ. თელავის ლიონიძის ქ. №5 საცხოვრებელი სახლის
რესტავრაცია; საცხოვრებელი კომპლექსების (არდოტი, კისტანი) აზომვითი
საფიქსაციო სამუშაოები, უბისის სამონასტრო კომპლექსზე სარეაბილიტაციო
სამუშაოები, კონდოლის ნათლისმცემლის სახელობის სამნავიანი ეკლესიის
რეაბილიტაცია, ქ. თბილისში ვრეკლე II-ის ჩიხი №6 მდებარე სახლის
რეკონსტრუქცია-ადაპტაცია, დიდი გომარეთის კვირაცხოველი, ფოთის
საკათედრო ტაძრის რესტავრაციის პროექტი. ქ. თბილისის ავლევის ქუჩის
სარეაბილიტაციო-აზომვითი სამუშაოები და სხვა.

2007-2012 წლებში შესრულებული სამუშაოები:

წმ. მამა დავითის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები ქ.თბილისში; წმ. კვირიკეს ტაძარი ამბროლაურის რაიონში; ფიტარეთის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თეთრიწყაროს რაიონში; ვაჩნაძიანის ტაძრის საპროექტო სამუშაოები გურჯაანის რაიონში; მაცხოვრის სახელობის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები საჩხერის რაიონის სოფ. დურევში; ღვთისმშობლის ტაძრის რესტავრაციის პროექტი ზესტაფონის რაიონის სოფ. არგვეთაში; ნეკრესის მონასტრის მცირე ბაზილიკის საპროექტო სამუშაოები ყვარლის მუნიციპალიტეტში; მოწამეთას მონასტრის საკონსრუვაციო სამუშაოები ტყიბულის მუნიციპალიტეტში; დიდუბის ღვთისმშობლის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები ქ. თბილისში; ყორანთას წმ. გიორგის ტაძრის რეაბილიტაცია ბოლნისის მუნიციპალიტეტში; წმ. გიორგის ტაძრის რეაბილიტაცია ქვემო ბოლნისში; გრემის მონასტრის საპროექტო სამუშაოები; ბაგინეთი (რომაული აბანოების საკონსერვაციო სამუშაოები) მცხეთის მუნიციპალიტეტში; გრემის აბანოს კონსერვაცია.

კომპიუტერული უნარ-ჩვევები: Windows, Microsoft Word, Adobe Photoshop, Archicad, Autocad.

2013 წელი

CURRICULUM VITAE

სახელი: გიორგი

გვარი: კოტეტიშვილი

დაბადების თარიღი: 21. 12. 1984.

დაბადების ადგილი: ქ. თბილისი

მისამართი: გ.ჩიტაიას №34

Tel: 54-98-68

Mob: 891 990559

E-Mail: gio_kotetishvili@yahoo.com

განათლება: ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ხელოვნების ისტორისა და არქიტექტურის რესტავრაციის სპეციალობა.

ხარისხი: მაგისტრი

სამაგისტრო ნაშრომი – „ურავლის აგარის კომპლექსის სარესტავრაციო პროექტი“

უცხო ენა – გერმანული, რუსული.

სამუშაო ადგილი: ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სამუშაო გამოცდილება:

2004-2005 წლებში სტუდია თბილისთან თანარსებულ ანიმაციურ სტუდია „Funpiktures“ –ში მხატვარ-ანიმატორი

2005 წლის ივნისი – წინასარესტავრაციო აზომეითი სამუშაოები სასხორის მთავარანგელოზის ეკლესიაზე

2006 წლის ივლისი-აგვისტო – სვეტიცხოვლის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები

2006 წლის აგვისტო- ერთაწმინდა “წმიდა თევდორე მღვდლის სახელობის” ეკლესიის რესტავრაციის პროექტის თანაავტორი

2006 წლის სექტემბერი – ურავლის აგარის კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოები

2006-2007 წლის ოქტომბერ-იანვარი – „ძველი ქალაქის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდი“ - არქიტექტორ-რესტავრატორი

2007 წლის ივლისი – მამა დავითის ეკლესიის წინასარესტავრაციო აზომვითი სამუშაოები

2007 წლის ივლისი-აგვისტო – თხოთის წმ. ნინოს ეკლესიის მცირესარესტავრაციო სამუშაოები. სარესტავრაციო პროექტის ავტორი

2007 წლის აგვისტო – ხინოს ეკლესიის წინასარესტავრაციო აზომვითი სამუშაოები

2007 წლის აგვისტო-სექტემბერი – უჯარმის ჯვარპატიოსნის მცირესარესტავრაციო სამუშაოები

2007 წლის ნოემბერ-დეკემბერი – ძველი ქალაქის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდის დაკვეთით შესრულებული ახოსპირელის ქ. №6 და ახოსპირელის მესამე ჩიხი, №12/3-ის აზომვითი სამუშაოები

2007 წლის დეკემბერი – ხანცთის ეკლესიის წინასარეაბილიტაციო სამუშაოები

2008 წლის აგვისტო – მესტიისა და ლატალის თემის ეკლესიათა პასპორტიზაცია

2009 წლის მარტი შპს გამომცემლობა „გორგა“ ილუსტრატორი:
(„იაპონური ზღაპრები“-ს „ინგლისური ზღაპრები“-ს და გოდეძი ჩოხელის მოთხრობების ილუსტრაციების ავტორი.)

2009-2010 წ-ი შპს. ძველი გალაფანი არქ.რესტავრატორი:
ნეკრესის, გრემის და მეჯვრისხევის სარესტავრაციო სამუშაოები.

კომპიუტერული პროგრამები:

Microsoft office: Word, PowerPoint; Adobe photoshop, Auto CAD, 3ds MAX, Corel painter, Macromedia flesh MX.

საკვალიფიკაციო მონაცემი

სახელი, გვარი: **დარეჯან მღებრიშვილი**
დაბადების თარიღი: 1955 წ. 26 აგვისტო
დაბადების ადგილი: ქ. თბილისი
მოქალაქეობა: საქართველოს მოქალაქე
ოჯახური მდგომარეობა: დაუქორწინებული

სახლის მისამართი: ქ.თბილისი, დოლიძის ქუჩა 11 კორ. 5 ბინა 41.
ტელეფონი: 2334045 მობ. 593512346

ბანათლება:

1975-78წ.წ. – თსუ – ეკონომიური ფაკულტეტი, სპეციალობა –
პოლიტეკონომია – III კურსი.

1981-86წ.წ. საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სპეციალობა –
ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია

პროფესიული გამოცდილება:

1986 წლიდან 1991 წლამდე - სს „საქქალაქმშენსახპროექტი“ - ინჟინერ-გეოლოგი,
1991 წლიდან საქრესტავრაციაში ინჟინერ გეოლოგი,
2005 წლიდან ძველთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს,
ძველი თბილისის გამგეობის, კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის ფონდის
და თბილისის განვითარების ფონდის დავალებით ვმონაწილეობდი მათ მიერ
განხორციელებულ პროექტებში (შესრულებული მაქვს ასზე მეტი პროექტი).

მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები:

- ქალაქების: ფოთის, ოჩამჩირის, თბილისის, გალის სეისმური დარაიონების რუკები
- მამადავითის, დიდუბის, მარტვილის, ფოკის, ბოდბის, ნაბახტევის, ვაჩნაძიანის, ბზიანას, სუბნიშნის, გრემის, ნეკრესის, ტიმოთესუბნის, სვეტიცხოვლის სამრეკლოს, კაცხის და სხვა ეკლესია-მონასტრების კვლევა რესტავრაციის პროექტებისათვის
- თელავში ნადიკერის ბაღისა და ბატონის ციხის გალავნის რეაბილიტაციის პროექტები;
- თბილისში ქვემო კალას უბნის რეაბილიტაციის პროექტი;
- ბოტანიკურ ბაღში არსებული ნაგებობებისა და ბოტანიკურის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტები;
- პუშკინის, ასათიანის, ლერმონტოვის, მაჩაბლის, კარგარეთელის, გუდიაშვილის მოედნის, რუსთაველის, ზაარბრიუკენის, ჩახრუხაძის, შავეთელის ქუჩებზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევები ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტებისათვის;

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), რუსული (კარგად)

კომპიუტერის ცოდნა: AutoCad, Microsoft Office.



რეზიუმე / CV



გვარი	მუკებანიანი	სახელი	მირანგულა	მამის სახელი	რობიზონი
დაბადების თარიღი (თვე, რიცხვი, წელი) და ადგილი	06. 06. 1977 ლენტეხის რაიონი				
მიმდინარე მისამართი	თბილისი, თავდადებულის №26				
საპასპორტო მონაცემები:	პირადი ნომერი 22001000697	პირადობის ნომერი ბ 0293136	გაცემის თარიღი 25.06.2002	გაცემის ორგანო თეთრიწყაროს შ.ს.რ. მიერ	

ოჯახური მდგომარეობა	დაოჯახებული
ოჯახის წევრების სახელი, გვარი, დაბადების წელი და სამუშაო ადგილი:	
დედა	მარო ქურასბედიანი. 1946 წ. მასწავლებელი
მამა	რობიზონ მუკებანიანი. 1941 წ. დროებით უმუშევარი
და	თამი მუკებანიანი. 1972 წ. დიასახლისი თამარ მუკებანიანი. 1973 წ. კერძო კლინიკის ექიმი. (ესპანეთი, ბარსელონა)
ძმა	
მეუღლე	ხათუნა მგალობლიშვილი. 1989 წ. დიასახლისი
შვილები:	სანდრო მუკებანიანი 2012წ

საკონტაქტო ტელეფონები

სახლი:	მობილური: 571-15-69-96	სამსახური:
--------	------------------------	------------

განათლება/კვალიფიკაცია

სასწავლო დაწესებულება	ფაკულტეტი	სპეციალობა	ხარისხი	სწავლის თარიღები
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	არქიტექტურა	რესტავრაცია	მაგისტრი	2002-2007
კომპიუტერული პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე			
	ძალიან კარგად	კარგად		მომხმარებლის დონეზე
Windows	X			
MS Office		X		
Internet	X			
Email	X			
AutoCAD	X			
ArchiCAD	X			
3D Max				X

უცხო ენები

უცხო ენა	ძალიან კარგად	კარგად	საშუალოდ	ცუდად
ქართული	X			
რუსული		X		
ინგლისური				X
გერმანული			X	
ფრანგული				
იტალიური				
ესპანური				X

სამუშაო გამოცდილება:

დასახელება	ფუნქცია	პერიოდი (თვე/წელი)
ვანის მუნიციპალიტეტში მდებარე ებრაელთა სინაგოგის რეაბილიტაციის პროექტი.	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და პროექტირება	მაისი/2013
სურამის მუნიციპალიტეტში მდებარე ებრაელთა სასაფლაოს რეაბილიტაციის პროექტი.	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და პროექტირება	მაისი/2013
წყურის მუნიციპალიტეტში მდებარე ებრაელთა სასაფლაოს რეაბილიტაციის პროექტი.	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და პროექტირება	მაისი/2013
სენაკის მუნიციპალიტეტში მდებარე ებრაელთა სინაგოგის რეაბილიტაციის პროექტი.	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და პროექტირება	აპრილი/2013
მარტვილის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბანძაში მდებარე ებრაელთა სინაგოგის რეაბილიტაციის პროექტი.	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და პროექტირება	აპრილი/2013
გორის მუნიციპალიტეტში მდებარე ებრაელთა სინაგოგის რეაბილიტაციის პროექტი.	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და პროექტირება	აპრილი/2013
გელათი. სოხასტერის მონასტრის კომპლექსი	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და პროექტირება	ოქტომბერი/2012-ნოემბერი/2012
ქ. ჭიათურა. კაცხის მთავარი ტაძარი	კვლევა აზომვითი სამუშაოები და პროექტირება	მარტი/2012-მაისი /2012
ქ. თელავი. ბატონის სასახლის გალავანი	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და პროექტირება	ნოემბერი/2011-დეკემბერი/2011
დავით გარეჯის მონასტერი, ლავრა	გალავნის ანაზომი და აღდგენის ესკიზური პროექტი, ასევე ფანსატურის მოწყობის პროექტი	ნოემბერი/2011-დეკემბერი/2011
კასპის რაიონი სოფ. ქვემო ჭალა	მშენებლობის მართვა	ივლისი/2010-სექტემბერი/2010
თეთრიწყაროს რაიონი. სოფ. გოდეთი, კვირაცხოვლის ეკლესია	კვლევა, აზომვითი სამუშაოები, ანაზომის ამოხაზვა Autocad ფორმატში და პროექტირება	იანვარი/2009-მაისი/2009
რაჭა, სოფ. ზემო ბარი, ჭბოს მთავარანგელოზის ეკლესია.	კვლევა, აზომვითი სამუშაოები, ანაზომის ამოხაზვა Autocad ფორმატში, პროექტირება და მშენებლობის მართვა	დეკემბერი/2008-სექტემბერი/ 2010
მცხეთის ჯვარი, მცირე ტაძარი.	ანაზომის ამოხაზვა Autocad ფორმატში და რეაბილიტაციის პროექტი.	ნოემბერი/2008-დეკემბერი /2008

ხვესურეთი, მუცო.	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და ანაზომის ამოხაზვა Autocad ფორმატში	ივლისი/2008- აგვისტო2008
ქ.ბათუმი, აბაშიძის ქ.№58, საქართველოს ბანკის ფილიალი.	კვლევა, აზომვითი სამუშაოები, ანაზომის ამოხაზვა Autocad ფორმატში და პროექტირება	მარტი/2008- მაისი/2008
ქ.თბილისი. ლ.გუდიაშვილის ქ.№5 საჯარო ბიბლიოთეკის I კორპ.	აზომვითი სამუშაოები.	თებერვალი/2008- მარტი/2008
ქ.ქუთაისი, სახელმწიფო მუზეუმი.	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და ანაზომის ამოხაზვა Autocad ფორმატში	იანვარი/2008- თებერვალი/2008
დმანისის რაიონი, აბულბუქის ეკლესია.	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და ანაზომის ამოხაზვა Autocad ფორმატში	აგვისტო/2007- სექტემბერი/2007
ქ.თბილისი ლ.გუდიაშვილის ქ №9	კვლევა, აზომვითი სამუშაოები, ანაზომის ამოხაზვა Autocad ფორმატში და პროექტირება	მაისი/2007- მარტი/2008
ქ.თბილისი: რუსთაველის პროსპექტი.№18, №20, №32, №34, №36 და №38	კვლევა, აზომვითი სამუშაოები, ანაზომის ამოხაზვა Autocad ფორმატში და პროექტირება	მაისი/2007- მარტი/2008
ყვარლის რაიონი, კოტე მარჯანიშვილის სახლმუზეუმი	კვლევა და აზომვითი სამუშაოები.	თებერვალი/2007- თებერვალი/2007
მცხეთის ჯვარი	კვლევა და აზომვითი სამუშაოები,	დეკემბერი/2006- მარტი/2007
დავით გარეჯის უდაბნო, იოანე ნათლისმცემლის მონასტერი	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და ანაზომის ამოხაზვა Autocad ფორმატში	ნოემბერი/2006- იანვარი/2007
ზედაზენი, ციხე და იოანე ნათლისმცემლის მონასტერი	კვლევა, აზომვითი სამუშაოები და ანაზომის ამოხაზვა Autocad ფორმატში	აგვისტო/2006- ოქტომბერი/2006
გარდაბნის რაიონი. სოფ. საცხენისი, ნათლისმცემლის ეკლესია	კვლევა, აზომვითი სამუშაოები, ანაზომის ამოხაზვა Autocad ფორმატში და პროექტირება	იანვარი/2005- მაისი/2005

CORRICULUM VITAE

ნანა კუპრაშვილი

- მისამართი: თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 79.
- ტელეფონი: 34-49-97 877 45 31 97
- დაბადების ადგილი და თარიღი: 10.09. 1964, ქ. თბილისი
- განათლება: 1982-1987, ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი ხელოვნებათმცოდნე. 2006 საკანდიდატო დისერტაცია
- შრომითი მოღვაწეობა: 2004 – 2012 ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, დეკანი, სრული პროფესორი.
2013 - დღემდე ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, დეკანის მოადგილე, სრული პროფესორი.
1989–2006, გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, მეცნიერთანამშრომელი.
1991–2004, ძველთა დაცვის დეპარტამენტი; წამყვანი სპეციალისტი (მხატვრობა)
1996–1998, ძველი მხატვრობის ტექნიკური კვლევის ცენტრი „ბეთანია“, დირექტორის მოადგილე
1998–დღემდე, ეპრივალოვას სახ. მხატვრობის ტექნიკური კვლევის ცენტრი „ბეთანია“ დირექტორი
- პედაგოგიური საქმიანობა: 1992–2004, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, პუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი, კედლის მხატვრობის ტექნოლოგიისა და ტექნიკური კვლევის კურსი
2001–დღემდე, თბილისის სამხატვრო აკადემია, მხატვრობის ტექნიკის კურსი.
2002 – 2007, თბილისის კულტურის უნივერსიტეტი, მხატვრობის ტექნიკის კურსი
- კონფერენციები: გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია, თბილისი 1993 „შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის ტექნოლოგიური თავისებურებანი (გელათის მთავარი ტაძარი)“;

გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის, ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია, თბილისი 1995 „კომპოზიციის აგების ერთი ტექნოლოგიური მეთოდი XVI საუკუნის ქართულ კედლის მხატვრობაში (გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი)“

ი.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი ე. თაყაიშვილის ხსოვნისადმი 2003. *პირღებულის მონასტრის კომპლექსური კვლევის წინასწარი შედეგები.*

Determination of the treatment and restoration needs of medieval frescos in Georgia. ICOM-is me_XIII triennale, Rio de Janeiro 2002

ვ.ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი - ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში 2008. *გელათის ღვთისმშობლის ტაძრის XII საუკუნის მოხატულობანი*

Art, Science or Craft? Problems of Heritage Conservation in Post-Soviet Georgia

2nd INTERNATIONAL SYMPOSIUM OF GEORGIAN CULTURE , The Caucasus: Georgia on the Crossroads. Cultural exchanges across the Europe and Beyond 2009, Florence, Italy

Geoitalia 2011 - VIII Forum Italiano di Scienze della Terra, Torino, 2011

პროექტებში მონაწილეობა:

„*მხატვრობის ტექნიკური მეთოდებით კვლევის ლაბორატორიის დაარსება*“ – ფონდის „ლია საზოგადოება საქართველო“ გრანტი 1995.

„*ქვემო სვანეთის მხატვრობა. მონაცემები კომპიუტერული ბანკისათვის*“ – ფონდის „ლია საზოგადოება საქართველო“ გრანტი 1997, 1998

„*ტაო-კლარჯეთის არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების კორპუსი*“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი 1997)

ფონდის „ლია საზოგადოება საქართველო“ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პროგრამის 1997, 1998 წლის საანგარიშო გამოფენა,

„*გადავარჩინოთ ყინწების ფრესკები*“ ფონდის „ლია საზოგადოება საქართველო“ და იტალიური სატრასტო ფონდის გრანტები 1996, 97,99.

„*მცხეთა“ გზამკვლევი.* კომპანია „ფილიპ მორის მენეჯმენტ სერვისიზ“ გრანტი 2000წ

„*ყინწების ფრესკების ფოტოფიქსაცია*“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის გრანტი 2000წ

„*მხატვრობის ტექნიკური მეთოდებით კვლევის ლაბორატორიის აღჭურვილობა*“ – ფონდის „ლია

საზოგადოება საქართველო“ გრანტი 2000.

„ტიმოთესუბნის ტაძრის კედლის მოხატულობა“
(მდგომარეობის შესწავლა და რეკომენდაციები
საკონსერვაციო სამუშაოებისათვის) – სამუშაო
ქრესისის მსოფლიოს მონუმენტების გადარჩენის
ფონდის გრანტი 2001

*„საქართველოს ქვემო ქართლის პროვინციებში
გამოქვაბული სოფლების და კლდეში ნაკვეთი
მემკვიდრეობის შესწავლა.“* შვეიცარიის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი 2001–2003
*გელათის ღვთისმშობლის სახ. კლესიის
მოხატულობის კვლევა.* ამერიკის საელჩოს ელჩის
გრანტი 2003.

მარტვილის ეკლესიის მოხატულობის კვლევა.
პ. გეტის ფონდი 2003–2004

უბისის ტაძრის მოხატულობის ტექნიკური კვლევა –
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და
სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის
პროგრამა 2005

ზარზმის ტაძრის მოხატულობის ტექნიკური კვლევა
– საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და
სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის
პროგრამა 2005

*ნიკორწმინდის ტაძრის მოხატულობის ტექნიკური
კვლევა და საკონსერვაციო პროექტი* –
საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და
გადარჩენის ფონდი 2005

კულაშის ტაძრის კონსერვაცია – საქართველოს
ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი
2005

*ყინწვისის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის
მოხატულობის ტექნიკური კვლევა* – საქართველოს
კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის
სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის
პროგრამა 2005

*ერკეთის ტაძრის მოხატულობის ტექნიკური კვლევა
და კონსერვაცია*– საქართველოს ისტორიულ ძეგლთა
დაცვისა და გადარჩენის ფონდი 2005

ზარზმის მოხატულობის რესტავრაცია საქართველოს
ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი
2006-2008

